583
1979

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 12 (467)

1979 წლის დეკემბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 12 (467) დეკემბერი 1979 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

341. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა უკანონოდ თავისუფლების აღკვეთისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

### განყოფილება მეორე

342. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ
343. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. უ. პ. ობოლაძისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
344. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
345. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ლ. აფაქიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
346. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. ვადაჭკორიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



347. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. მ. შალამაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
348. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ი. სადუნაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
349. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. მ. ჯინჭარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲚᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

## 341 ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲓ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲚᲙᲕᲔᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

უკანონოდ თავისუფლების აღკვეთისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგი ცვლილებები:

1. მუხლი 133-ე ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 133.** თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა

ვინმეს თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა

— ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, რომელიც ჩადენილია ანგარებით ან სხვა ქვენაგრძნობით, ანდა თექვსმეტი წლის ასაკამდე არასრულწლოვანის მიმართ, ანდა განმეორებით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, ანდა დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში საშუალებით, ან რომელსაც თან ახლავს ფიზიკური ტანჯვის მიყენება ანდა მოკვლის ან დიდი ზიანის მიყენების მუქარა დაზარალებულის ან მისი ახლობლების მიმართ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ და გასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გასახლების გარეშე“.

2. 127-ე მუხლის სათაური და პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 127.** ბავშვის შეცვლა

ბავშვის შეცვლა, რომელიც ჩადენილია ანგარებით ან სხვა ქვენაგრძნობით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე“.

3. ეს ბრძანებულება ძალაშია გამოქვეყნების დღიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Თ. ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

თბილისი, 1979 წლის 6 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 342 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოვდნენ:

**ალიევი** რაშიდ ბაბაქიში ოღლი — 24-ე გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე, ქ. ბაქო.

**გეგეჭკორი** გოგი ვახტანგის ძე — წულუკიძის პროფტექსასწავლებლის მოსწავლე.

**გიორგაძე** ედუარდ გრიგოლის ძე — სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსი.

**გოგიძე** ტრისტან შალვას ძე — მე-8 პროფესიული გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი მეხანძრე, ქ. თბილისი.

**გოგოლაძე** ომლეტ სამსონის ძე — სახანძრო დაცვის სამმართველოს ხანძრის ჩაქრობის შტაბის უფროსის მოადგილე, ქ. თბილისი.

**გუსეინოვი** სულხან ეიუბ ოღლი — 24-ე გასამხედროებული სახანძრო ნაწილის განყოფილების მეთაური, ქ. ბაქო.

**მელიქოვი** ნაჯაფალი მელიქალი ოღლი — 24-ე გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი მეხანძრე, ქ. ბაქო.

**ნიკიტინი** ელგუჯა ალექსანდრეს ძე — მე-13 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი ინჟინერი, ქ. რუსთავი.

**სოროკინი** ალექსანდრე იზრაილის ძე — სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილე, ქ. თბილისი.

**წიკლაური** ნოდარ გიორგის ძე — სახანძრო დაცვის სამმართველოს სამსახურისა და მომზადების განყოფილების უფროსი.

**შირობოკოვი** ვლადიმერ ანატოლის ძე — სახანძრო დაცვის უფროსი ინსპექტორი, ქ. თბილისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 10 დეკემბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 343 ამხ. უ. პ. ობოლაძისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. უშანგი პლატონის ძე **ობოლაძეს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 14 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 344 გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის, დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით **გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 14 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 345 ამხ. ნ. ლ. აფაქიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სატყეო მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით წალენჯიხის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის დირექტორი ამხ. ნიკოლოზ ლევანის ძე **აფაქიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 14 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 346 ამხ. ვ. ი. ვადაჭკორიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობაში, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვალერიან ილიას ძე **ვადაჭკორია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 14 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 347 ამხ. ნ. მ. მაღალაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კავშირგაბმულობის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობის ავტომატური სატელეფონო სადგურის უფროსი ელექტრომექანიკოსი ამხ. ნინო მიხეილის ასული **მაღალაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 14 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 348 ამხ. ლ. ი. სადუნაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეცნიერო და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგე ამხ. ლუდვიგ ივანეს ძე **სადუნაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 14 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 349 ამხ. გ. მ. ჯინჭარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის აქტიური მუშაობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით გადამდგარი გენერალ-მაიორი ამხ. გიორგი მიხეილის ძე **ჯინჭარაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 14 დეკემბერი.